# საინფორმაციო ბიულეტენი

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

## ფარული მიყურადება საქართველოში 2015-2016

IDFI-ს ანგარიშში განხილულია 2015 წლის ივნისიდან 2016 წლის მარტამდე საქართველოში ფარული მიყურადების რეგულირებასთან დაკავშირებული მოვლენები, ესენია: ბოლო დროს გავრცელებული ჩანაწერები, კამპანია ,,ეს შენ გეხება-ს ალორძინება 2016 წლის მარტში, ორგასაღებიანი სისტემის პირველი შედეგები და ამ პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის როლი, ასევე, ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება.



## ოფშორული კომპანიები საქართველოში - რისკები და რეკომენდაციები




ორგანიზაციამ გამოაქვეყნა კვლევა ,,ოფშორული კომპანიები საქართველოში – რისკები და რეკომენდაციები''. დოკუმენტში საუბარია ოფშორული ზონებიდან საქართველოში ინვესტიციების განხორციელების ისეთ რისკებზე, როგორიცაა: ანგარიშვალდებულების ნაკლებობა, რუსეთის გავლენა ქართულ ეკონომიკაზე, ფულის გათეთრების საშუალება, ბიზნესზე ზეწოლა და გადასახადებისაგან თავის არიდება. აქედან გამომდინარე, ორგანიზაცია საქართველოს პროკურატურას, პარლამენტს და მთავრობას სთავაზობს რეკომენდაციებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

## პარლამენტის ვებ-გვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის მონიტორინგის შედეგები და რეკომენდაციები

ჩვენი კვლევა ეხება საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდის მონიტორინგის შედეგებს. კვლევის მიზანი იყო შეგვეფასებინა თუ რამდენად ასრულებს საქართველოს პარლამენტის აპარატი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით ,,საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ'' განსაზღვრულ ვალდებულებებს.

## საკონსულტაციო ჯგუფმა საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებებზე იმსჯელა

11 აპრილს გაიმართა ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედე საპარლამენტო საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. საკონსულტაციო ჯგუფმა წარმოადგინა და იმსჯელა საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის ვალდებულებების განხორციელებისათვის პარლამენტის რეგლამენტში შესატან ცვლილებებზე.

# IDFI-ბრიფით საიდუმლო 9 აპრილის შესახებ



სპეციალურად 9 აპრილისთვის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) პირველად გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) საარქივო ფონდებში დაცული საიდუმლო დოკუმენტები. დოკუმენტები მოიცავს შეერთებული შტატების შესაბამისი სამსახურების მიერ (დაზვერვის დირექტორატი, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, მოსკოვში აშშ-ს საელჩო) 1989 წლის აპრილის თვეში საქართველოში მომხდარი მოვლენების შესახებ მომზადებულ ანალიტიკურ ცნობებს.




# საჯარო სამსახურში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ანალიზი 2012 წლის არჩევნებამდე და შემდეგ

სტატია დაიწერა IDFI-ს პროექტ "სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020- სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება"-ს ფარგლებში და გამოქვეყნდა პროექტის ბლოგზე "საქართველო 2020". კვლევის მიზანია განვიხილოთ და გამოვკვეთოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც საჯარო სამსახურის რეფორმის ორი ძირითადი პერიოდის აღმწერი/მახასიათებელია. რეფორმის პირველი პერიოდი მოიცავს 2004-2012 წლებს, "ვარდების რევოლუციის" შემდგომ პერიოდს და 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდგომ საჯარო სამსახურის რეფორმის პროცესს.

# ღია მმართველობის პარტნიორობა, როგორც გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების საშუალება

2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, რომლის სახელწოდებაა „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის". ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის დირექტორი გიორგი კლდიაშვილი მიიჩნევს, რომ „დოკუმენტი გამორჩეულად მნიშვნელოვანია, რადგან მოიცავს ისეთ მიზნებსა და ამოცანებს, როგორიცაა: სიღარიბის დაძლევა, გარემოს დაცვა, გამჭვირვალობა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დროს, სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესება, გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდა, საჯარო მომსახურების დახვეწა და სხვა მიზნები, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკურ ზრდას და სოციალურ ინკლუზიურობას".




გიორგი კლდიაშვილის აზრით „მსგავსი მასშტაბის საერთაშორისო დოკუმენტის სრულყოფილ განხორციელებას სჭირდება შესაბამისი პლატფორმა, რომელიც ერთი მხრივ, პასუხობს დოკუმენტის გამოწვევებს, ხოლო , მეორე მხრივ, გამორიცხავს სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების შესაბამისი ჩართულობით".



## საპარლამენტო საბჭომ და საკონსულტაციო ჯგუფმა რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტებზე იმსჯელეს

ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსა და საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე იმსჯელეს საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის (2015-2016) ვალდებულებების შესრულებისთვის რეგლამენტში შესატან ცვლილებების პროექტებზე.

## საჯარო კონსულტაციები ღია მმართველობის საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად

ოზურგეთსა და გორში გაიმართა საჯარო კონსულტაციები ღია მმართველობა საქართველოს რიგით მესამე სამოქმედო გეგმის (2016-2017) შემუშავების მიზნით. მონაწილეებს შორის იყვნენ მუნიციპალიტეტის, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები და სტუდენტები. ისინი გაეცნენ ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership, OGP) მიზნებს და წამოაყენეს სამოქმედო გეგმაში შესატანი ინიციატივები.



## ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად საჯარო კონსულტაციები გრძელდება

13 აპრილს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) მონაწილეობა მიიღო მარნეულში გამართულ ღია მმართველობის პარტნიორობის საჯარო კონსულტაციაში. შეხვედრაზე IDFI-ს წარმომადგენელმა თამარ ნადიბაიძემ მოქალაქეებს გააცნო IDFI-ს რეკომენდაციები ღია მმართველობის პარტნიორობის მესამე სამოქმედო გეგმისთვის (2016-2017).




## ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულებული და შეუსრულებელი ვალდებულებები

საქართველო ღია მმართველობის მესამე სამოქმედო გეგმაზე მუშაობს მაშინ, როდესაც წინა გეგმის ძირითადი ვალდებულებები შეუსრულებელი რჩება. საქართველოს ხელისუფლებამ ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის 29 ვალდებულებიდან მხოლოდ 20 შეასრულა.



# IDFI აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა 2015 წლის ანგარიშში




ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის 2015 წლის ანგარიში. ანგარიში მზადდება აშშ-ს საელჩოებისა და საერთაშორისო მისიების მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით და მიმოიხილავს ადამიანის უფლებების მდგომარეობას 200-მდე ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში.

2012 წლიდან მოყოლებული IDFI ყოველ წელს არის მოხსენიებული სხვადასხვა კვლევის კონტექსტში. ამას გარდა, უკვე მეორე წელია ანგარიშში ნახსენებია გიორგი კლდიაშვილის უკანონო დაკავების საქმე. 2015 წლის ანგარიშში ინსტიტუტი ექვს სხვადასხვა კონტექსტში არის ნახსენები.

# თბილისი ღია მმართველობის პარტნიორობაში ჩაერთვება



13 აპრილს ღია მმართველობის პარტნიორობამ (Open Government Partnership, OGP) გამოაქვეყნა ადგილობრივ ხელისუფლებათა საპილოტე პროგრამის გამარჯვებულთა სია. თბილისი 45 აპლიკანტიდან შერჩეულ 15 ადგილობრივ თვითმმართველობას შორის მოხვდა.

საპილოტე პროგრამაში მისაღებად ღია მმართველობის პარტნიორობა ეძებდა ისეთ ადგილობრივ თვითმმართველობებს, რომელთა მოსახლეობა მინიმუმ 250,000-ია და რომლებიც იზიარებენ OGP-ს პრინციპებს, აქვთ ღია მმართველობის ისტორია, მზად არიან გაატარონ რეფორმები სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით და გაუზიარონ გამოცდილება სხვა მუნიციპალიტეტებს.

ადგილობრივ ხელისუფლებათა საპილოტე პროგრამაში მონაწილეობა ნიშნავს, რომ ღია მმართველობის პარტნიორობის სპეციალური გუნდი დაეხმარება თბილისის მერიას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად და საჯარო კონსულტაციების საფუძველზე შეიმუშაოს და განახორციელოს OGP-ის სამოქმედო გეგმა.

სამოქმედო გეგმა დაფუძნებული იქნება OGP-ის 4 პრინციპზე:

1. მმართველობის ღიაობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
2. საჯარო პირების ანგარიშვალდებულების გაზრდა;
3. მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და;
4. ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული განვითარება.

## სხვა:

- არასამთავრობოები გადაცემაში „პოლიტიკა" ლევან მერესიძის მიწვევას ეხმაურებიან
- კამპანია "სამართალი ითხოვს" შეხვედრებს იწყებს
- მოსაზრებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმირების მიზნით შემუშავებულ საკანონმდებლო პაკეტზე
- „ეს შენ გეხება" ხელისუფლებას კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებს
- კოალიციის განცხადება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევასთან დაკავშირებით

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა.გრიბოედოვის ქუჩა №3, 0108, თბილისი, საქართველო
+995 322 92 15 14
info@idfi.ge
www.idfi.ge www.opendata.ge